



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87.8721364001

თარიღი:30/12/2021

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომა
ოქმი №14

ქ. ახმეტა, 29 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ: დავით ავაზაშვილი, გიორგი ქიბროწაშვილი,
გელა შაშიაშვილი, კახა მამულაშვილი,
ბესარიონ კაიშვილი, რევაზ გახუაშვილი,
გიორგი მამუჩარაშვილი, ზეზვა ფიცხელაური

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსებ ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენებელი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;

მოხსენებელმა გააცნო ბიუროს დამსწრე წევრებს პროექტი: დადგენილების მიღება გამოწვეულია იმით, რომ 2022 წლის 1 იანვრიდან ხორციელდება მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს ოდენობების ზრდა.

ეს წესი ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მიერ საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების (შემდგომ - ხარჯები) ოდენობას და მისი ანაზღაურების პირობებს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თითოეული წევრის, რომელსაც საკრებულოში არ უკავია თანამდებობა (შემდგომ - საკრებულოს წევრი), ხარჯების ყოველთვიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15 %-ს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური ოდენობა შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

საკრებულოს წევრის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება საკრებულოს სხდომებში, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის, საკრებულოს გადაწყვეტილებების მომზადებისა და ინიცირების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელებისათვის.

აღნიშნულ საკითხებზე, საკრებულოს აპარატის უფროსი ყოველთვიურად ადგენს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ინფორმაციას (მოხსენებით ბარათს), თვის 20 რიცხვისთვის არსებული მდგომარეობით (თუ მიმდინარე თვის 20 რიცხვი ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე ან/და დასვენების დღეს, მაშინ მომდევნო სამუშაო დღეს).

საკრებულოს წევრებისთვის ხარჯების ანაზღაურება ხდება თვეში ერთხელ, საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე, როგორც წესი, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დარიცხვასთან ერთად.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობა, რომლებსაც საკრებულოში არ უკავიათ თანამდებობა, შეადგენს 10-ს. მათ შორის: 2 – „ქართული ოცნება“, 7 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 1 - მპგ „საქართველოსთვის“.

(განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე წევრებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა და რეკომენდაციები, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11²⁵ საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

